

ଓ. 15 জ.

K 5.288
—
2

ଲ୍ଲ. ମହାଶୁରମଣି



25 ପାଞ୍ଚାଖାରି

ଲେଖ. ପ୍ରତିକାଳୀନ

ଧୂମଦୀର୍ଘ 25 ତଥାର୍ଥବଳୀ
ସାହଚରତ ପରମାଣୁ

KS. 9888
2

Digitized
by srujanika@gmail.com

13. 09

ସାହଚରତ ପରମାଣୁ
ବ୍ୟବସ୍ଥା
ପରମାଣୁ

1931

ოქტომბერ მიკურავდა
ს. ჭავჭავაძე 1921"



სახელგამის 1-ლი სტამბა, ვლეხაწოების ვამზირი № 91.
მთავარი ლიტერის № 297. შეკვეთის № 202. ტირაჟი 4.000.

განთიადი 25 თებერვლისა საქართველოში

შფოთითა და წვალებით დაღამდა ოცდაოთხი თებერვალი.

ორ ამხანაგთან ერთად „ვარანცოვის“ ხიდზე ვდგივა საღარაჯოთ...

თოფით ხელში. (მეც მოვხვდი მობილზიაციაში რამდენიმე საათის წინედ).

მთელი დღე ქალაქის მცხოვრებთა მყუდროება აკლებული იყო ზარბაზნების გრიალით —

კოჯრის მხარედან.

შვიდ საათზე ჩამოვარდა სიმშვიდე, თითქოს თავის დღეში არათერი არ ყოფილა.

მხოლოდ ხმა — სწრაფი, მოუსვენარი და სეჭვო ხმა დაძრწის ყველგან — პირიდან პირში (და არა გულიდან გულში):

ბოლშევიკები დამარცხდენ! უკან დაიხიესო!

ცივა, ქარი ჰქონის. თოვს. ჭყაპით სავსეა ხალხისავას დაცარიელებული ქუჩები.

გასაოცარია: ზოგჯერ ბუნებაც როგორ შეუთანნმდება ხოლმე პოლიტიკურ და ქვეყნიურ მოვლენების განსაკუთრებულ მწვავე მომენტებს!

რვა საათის შემდეგ აკრძალულია ხალხის ქუჩაში გამსვლა.

მოქალაქეები პირნათლად ასრულებენ მთავრობის ამ ბრძანებას.

(მაგრამ თურმე ამ დროს თვით მთავრობა აღარ მთავრობდა).

ყველა მორჩილად ჩაკეტილა ურუანტელით საესე თავის ოთახში და ელიან... რას?

არც თვითან იციან გარკვევით.

რალაც კი უნდა მოხდეს.

ხანდახან ხიდზე შეშფოთებით გაივლის ვინმე მოქალაქე.

შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს სადღაც მიისწრაფვის, ვიღაცა მისდევს უკან.

გასაოცარია: აღარავინ დადის ჩვეულებრივათ — როგორც ათიოდე დღის წინეთ.

ყველა ფეხს უჩქარის. (ალბათ გულთან ერთად).

წალმა უკულმა დავდივარ ხიდზე.

ძალაუნებურად ვაკვირდები ხიდქვეშ შეჭენებულ მტკვარს, ნისლით თავმობურულ მთაწმინდის გორას, საქართველოს ბედის უკანასკნელ აწეწილ დღეებს, მოფუზულად მიმავალ დაგვიანებულ მოქალაქეებს...

ეს მოუფული მოქალაქეები როგორლაც უფრო მრავლათ მოდიან ქალაქის ცენტრიდან.

მათ შორის თანდათან ხშირათ ვხედავ ნაცნობ ტიპებს.

ზოგი ისე დაბნეულად მიდის, რომ ავიწყდება გამარჯობის თქმაც.

ამ ნაცნობთა შორის სჭარბობს საზოგადო მოღვაწეები, დამფუძნებული კრების წევრები...

მიკვირს — სად მიეჩარებიან ასე მრავლად, ასე ერთდროულად.

დამფუძნებელი კრება კუკიაში არ გადაუტანიათ ვიცი.
მაგ... .

აგერ წამომაწყდა გრიგოლ გველესიანი.

— სად მიღიხარ გრიგოლ?

— მთავრობა გაიქცა და ჩვენც მივდივართ.

— როგორ თუ გაიქცა?

— ეგრე! განა არ იცი?

და გრიგოლი ისევ მიეშურება. ეშინია, ზედმეტი სიტ-
ყვით არ დაგვიანდეს... ალბად სადგურზე.

უკვე ყველაფერს მივხვდი.

ეს მოვალეობაც არის, რომ მივხვდე ყველაფერს.
უიმისოდ ვისა სცალია, რომ სიტყვა-სიტყვით ამიხსნას მთე-
ლი მდგომარეობა!

ამ ამბავს თითქოს ყოველ საათში ველოდი. მაინც სახ-
ტად დავრჩი მის გაგონებაზე.

ზარბაზნის ხმა აღარსაიღან ისმის.

აღარც თოფისა.

მ ე ნ ჟ ე ვ ი კ ე ბ ი წ ა ვ ი დ ე ნ —

ბ ო ლ ჟ ე ვ ი კ ე ბ ი ჯ ე რ ა რ ა ს ჩ ა ნ ა ნ.

აი ორი პოლიუსი, რომელთა შორისაც ტრიალებს გააუ-
თრებით — იარაღ ასხმული მთელი ჩემი ფიქრების რაზმი.

კიდევ დამფუძნებელი კრების წევრი.

— სადგურზე მიეშურებით ბატონო...

— აბა სხვა გზა არის კიდევ სათიმე?

— მერე ცოლშვილი?

— ცოლშვილი ერთი კვირის წინეთ გავგზავნე ჭუ-
თაისში. (მაგრამ მე ხომ იმისი ცოლშვილი სულაც არ მეინ-
ტერესება! მაშ რათ ვეკითხები? რათ ვკარგავ ძვირათ სათ-
ვლელ წუთებს?).

— მერე ქალაქში ვინ დასტოვეს... წესრიგის დასაცა-
ვათ მაინც?

— რა ვიცი ვინ დასტოვეს! არავინ!

— მაშ...

— მაშ რაღას უყურებ? აღექი და წამოდი! თავი მოგ-
ძულდებია თუ?

დამჯურნებელი კრების წევრი მიეშურება. (ალბად
ცხოვრებაში გამოუსყიდავ ზარალათ ჩასთვლის აქ დაკარ-
გულ რამდენიმე წამს).

ვუცემერი ამ მოფუზულ, უმწეოდ მიმავალ კაცს და უფ-
რო საცოდავათ მეჩვენება იგი, ვიდრე შინიდან გამოგდე-
ბული კუდამოძუებული ოთხფეხი... ისიც ზამთარში, ღა-
მით...

მინდა შევაჩერო, მაგრამ ვგრძნობ, ხელში აღარაფერი
შემრჩება მისგან და მიესძახი — მეც არ ვიცი რათ:

— აგრე ამთავრებთ თქვენ სახელმწიფო მოღვაწეობას?

თანდათან უცნობშა მოქალაქეებმა დაიწყეს შეშფოთე-
ბით სიარული.

ალბათ იმათაც გაიგეს რამე... მახლობლების შემწეო-
ბით... და მიეშურებიან...

სადგურისკენ.

რამდენიმე ხანს მე ისევ ხიდზე ვდგევარ გარინდული.

ჩემი მოვალეობა უკვე დამთავრებულია — ჩოგორც
დარჩავის.

მაგრამ ეხედავ—ყრუ სიძლიერით მომდგომია გრძნობა
სხვა მოვალეობისა.

ମାତ୍ରମନ୍ଦିରରେ ପାଇଁ ଏହାକିମ୍ବାନ୍ଦୀ—

ծոլք մասնակի չեր առա և ի անաբ.

მაშ ქალაქი ღვთის ანაბარათ არის მიტოვებული სანამ ახალი ხელისუფლება დამყარდებოდეს.

ვიცი რას ნიშნავს ასეთი გარდამავალი დღეები, გინდაც
საათები, ერთი სახელმწიფო პოლიტიკური მდგომარეობა-
დან — მეორე სახელმწიფო პოლიტიკურ მდგომარეობაში.

მე უკვე წარმოვიდგინე თავდავიშყებული ბრბოების
თარეში, რომლებიც საჩვენებლობენ ქვეყნის უპატრონო-
ბით.

ამას ხელს უწყობს მენშევიკების წარსული პოლიტიკა,
სიმშილი და ათასგვარი გაჭირვება.

და ამ თავდავიწყებულ ბრზოების თარეშით, ცხადია, ქართველი მოსახლეობა კიდევ ყველაზედ მეტად იზარი-ლებს ასებულ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო.

ନାହିଁ କୁନ୍ଦା ଗୁପ୍ତେତଳେର କୁଷଜ୍ଵାଳାଟ!

ନାମେ ଶୁଣିଲା ଗାସାକୁଟାଳାଟ ଲୋକେଇଲାତ!

ასეთ მოულოდნელ მომენტებში ქვეყანას ყოველთვის
სჭირდება მოულოდნელი შეცილა და გამოსარჩევება.

და ჩვეულებრივ იღამიანის ცხოვრებაშიაც არიან მო-
მენტები, როცა მას თავი ყოვლის შემძლებლათ წარმოუ-
დგება

სწორედ ასეთ მდგომარეობას განვიცილი ეხლა.



და თუ ვერაფერი მოვახერხე, მეც სუსტი ვყოფილვარ, ლაჩარი. ღირსი არა ვყოფილვარ იმ კრიტიკისა და უქმა- ყოფილებისა, რომლითაც ვაფასებდი ეხლა უკვე ისტორიის მიერ ზურგშექცეულ საქართველოს მესვეურებს.

თბილისი — ეს საქართველოს თავი და გულია.

და როგორ შეიძლება მთელი ქვეყნის თავი და გული თუნდაც ერთის წუთით განუკითხელობაში ჩავარდეს ცხოვრების გარდაქმნათა ნახტომების დროს?

ხალხი, რომელსაც აქვს ისტორია და სახელმწიფოებ- რივი არსებობის ტრადიცია, არასოდეს არ დაიბნევა განწი- რულობის ჟამს.

არ შეიძლება უსუსურათ და უმწეოთ შეხვდეს ისტო- რიულ გარდატეხის რომელიმე მომენტს, დაე, რაც უნდა მოულოდნელი იყოს მისთვის ეს გარდატეხა!

ბედის ქარტეხილში ნაცადი ქართველი ხალხიც თავის ოჯახში უეჭველათ გამოსძებნის ისეთ შვილებს, რომლე- ბიც ამ აბნეულობის ჟამს უპატრონობას არ აგრძნობინებს დაქანცულ ქვეყანას.

ისტორიითა, კულტურითა და ცხოვრებით წელგამაგრე- ბული ხალხი თავის არსებაში ყოველთვის ატარებს თა- ვის გადარჩენის ალლოს და უნარს.

დიახ, ეხლაც არ დაიბნევა ქართველი ხალხი, როცა გარბის მენშევიკური მთავრობა და ბოლშევიკური ჯერ არ დაპატრონებია ქვეყანას.

მე რომ არ ვიყვე, მაშინ სხვა ვისმეს მოუვა თავში უპა- ტრონოთ დარჩენილ ქალაქის თვალყურის გდება.

ეს მიმაჩნია გარდაუვაღ კანონათ კულტუროსანი ერთ ცხოვრებაში, რომელსაც აქვს 25 წლის რევოლიუციონუ- რი წარსული და მოელის კიდევ უფრო მეტს.

ჩემი გადაწყვეტილებაც ამ წუთში მე მიმაჩნია არა პი-
რად შემოქმედებათ, არამედ ქართველი ხალხის ნებისყო-
ფის სულ უბრალო გამომჟღავნებათ.

ესა მმატებს ძალას და სითამამეს.

მაშ უეჭველად შეიძლება რამის გაკეთება.

მხოლოდ ხალხია საჭირო.

რამდენიმე კაცი მაინც.

ხელდახელ გადავავლე თვალი ჩვენ პოლიტიკურ და
საზოგადო მოღვაწეების სიას. ვეძებდი კაცებს საკმაო
თაოსნიანს და ავტორიტეტიანს, რომ შეეძლოთ თავიანთ
თავში მოულოდნელი ძალისა და შევნების აღმოჩენა —
ქვეყნისთვის საჭირო წამებში.

თოვი უკვე მამძიმებს, როგორც ყოველი მეტი ბარგი.
მივაგდე კუთხეში და მივეშურები.

რამდენიმე წუთის შემდეგ თედო ღლონტის კარებთან
ვდგევარ.

(ეხლა მხოლოდ წუთებით ვზომავ ყველაფერს).

ვაკაკუნებ. ხმას არავინ იღებს.

ხელმეორეთ ვაკაკუნებ.

მესამეთ.

უკვე ამაռა მეტი ღროს დაკარგვა.

ნუ თუ ისიც გაიქცა?

ვიღას მივმართო?

ერქომაიშვილს? — აქ არის, მაგრამ რომ არ ვიცი, სად
იმალება?

ტოროშელიძეს? — არც ის ვიცი სად იმალება.

ნუცუბიძეს? — ვაი თუ ისიც გაიქცა და ტყუილად და-
ვკარგო ეს ძვირფასი ღრო!

მაგრამ მეწვია აღმოჩენის წუთი და მივაგენ „ხალხის“ აღმოსაჩენ აღგიღს:

ეს არის სიდგური.

და მივეშურები სადგურისაკენ —
რასაკვირველია — ფეხით.

(ტრამვაი და ეტლი ეხლა რომ დავინახოთ — ეს ხომ სასწაული იქნება და არა 24 ობერვლის ღამე — თბილისში!)

თოვლჭყაპი, სიცივე უფრო მატულობს.
ნაბიჯიც მატულობს.

რუსთაველიდან სადგურამდე როგორ გავიარე მანძილი,
არ შემიმჩნევია.

მხოლოდ ფიქრები სწრაფი ბორბალივით ტრიალებდენ
ერთი საკითხის გარშემო:

რა მოხერხდეს? როგორ მოხერხდეს?

ქალაქ ცარიელია. მარტო სადგურისაკენ მიმავალ მოავარ ქუჩებზე მოსხანს ხალხი. და ყველას პირი აქვს სადგურისაკენ.

მხოლოდ მიკვირს: რატომ ჯარები არსადა სჩანან?

თუმცა უკან დახევის ბრძანება თუ ცხრა საათზე გასცეს, ალბათ ჯერამ ვერ მოუსწრიათ.

პლეხანოვის პროსპექტზე გავლისას უნებლიერ მავანდება:

ხუთი დღის წინეთ აქ თვალი მოვკარ — საბარეო ავტო როგორ მიაქანებდა სადგურისაკენ — ქუთაისში გადასაგზავნათ ზოგიერთა მინისტრის ოჯახის მოწყობილობას: მაგიდებს, სკამებს, პირსაბანს და სხვა „ჭირისოფლით“ შენაძენ ავეჯეულობას.

ეს მესჩანური წინდახედულება აღმაღდ გამოწვეული იყო მათი „სტრატეგიული“ წინდახედულობით.

ამითი ერთხელ კიდევ ცხადათ წარმოვიდგინე, თუ რა „დარბაისელი“ და „სულგრძელი“ ხალხი მართავდა საქართველოს ბედ-ილბალს.

და ეს „მოჭირნახულე“ ხალხი ეხლა, ხუთი დღის შემდეგ, თვითონაც უკან მისდევდენ თავიანთი ოჯახის ბარგი ბარხანას.

სადგური გაჭედლია.

ხალხის ტყეს ძლივს ვარღვევ.

უთვალავ ნაცნობ სახეებს ვხედავ — როგორც კინოეკრანზე. მათ არ ვაწუხებ მოკითხვა-სალამით, ოლონდ ისინიც ნუ შემაწუხებენ. მაგრამ არავის არა აქვს ჩემი დარღი. (მე მგონი არავისი და არაფრის დარღიც არა აქვთ გარდა თავიანთი საკუთარი თავისა).

ამ მშიშარა, დაბნეულ და ეგოისტურ გრძნობებით შებოჭილ ბრძოში მე გაფაციცებით ვეძებ თითო-ოროლა აღამიანს.

როგორც იქნა გავარღვიე ხალხის ზღვა და გავედი პლატფორმაზე.

მაგრამ აქ შთაბეჭდილბა ისეთია, თითქოს ხალხის ზღვიდან მოვაცვდი ხალხის ოკეანეში.

წინ აყუდებულა მცხოვისკენ მიმავალი უკანასკნელი მატარებელი.

მე არ ვიცი შიგნით მატარებელში რა ხდებოდა, მაგრამ გარეთ კი...

სახურავები ხალხით გაჭედილა.

საღაც კი არის ხელის მოსაკიდი და ცალი ფეხის ან ნახევარ ფეხის დასადგმელი — ყველგან კაცი ჰქონდა.

ყველანი მირბიან, მორბიან, იბრძვიან ადგილისთვის შატარებელში.

ზოგიერთი წინდახედული კი ძებნაზე აღარ ჰქარგავს დროს და ფეხით მიეშურება ავჭალისაკენ.

ჩემდაუნებურად ვათვალიერებ, თუ რომელი სოციალური ნაწილისაგან შესდგება ეს ხალხი.

აქ სრულებით ვერა ვხედავ მუშებს, უბრალო ხალხს.

ეს არის ჩვენი ინტელიგენცია, სიტყვა ბარაქიანი და საქმე დალახიანი ჩვენი ქართველი ინტელიგენცია.

მისი არარაობა და უმწეობა ყველაზე ნათლად ეხლა მოსჩანს „ცხოვრების უონზე.

და შემეზარა იგი უფრო მეტათ — ვიდრე ლირისია.

მე კი თბილისის მხსნელებს და მყუდროების დარაჯებს ვეძებ ისევ ამ ინტელიგენციის საბუდარ აშლილ წრეში.

ვინც გუშინ დადიოდენ პორტფელით, ავტოთი, მედი-დურობით, ეხლა ღამურასავით დაძრშიან და ეძებენ მატარებელზე „მისაკრობ“ ადგილს.

სულმოქლეობის აქ აღარავის რცხვენია: სასირცხვი-ლოთ აღარავისა სცალია.

ეს ხალხი ყველაფერ უღირსობას ჩაიდენს, ოლონდ კი გააღწიოს როგორმე თავი თბილისის გარეთ.

ეს ხალხი სრულებით არ ჰგავს ომში დამარცხებულ ხალხს.

ესა ჰგავს მხოლოდ ომით შეშინებულ ხალხს.

ამ ბრბოში ვეძებ საიმედო პირებს, შესაძლებელ ამხანაგებს ერთი დღით ან ეგებ რამდენიმე საათით.

ამდენი ანგარიშის შემდეგ თუ შეცაჩერებ ვისმეზე ჩემ არჩევანს, პირველივე გამოპასუხებაზე სახტადა ვრჩები.

ჩემი წინადადება ქალაქში დარჩენის შესახებ ყველას სირეგვენეთ მიაჩნია.

ჩემთვის დედაენასავით ნათელია, რომ მე არც რეგვენი ვარ და არც გმირი მაგრამ ამ უგუნურობაში და ლარ-რობით შეპყრობილ ხალხში რა გასაკვირია, რომ ზოგს რეგვენათ ვეჩვენებოდე და ზოგს კი გმირათ.

აპა, ბოლოს თვალი მოვკარი პაოლო იაშვილს, არ ვიცი, ისიც მიღიოდა თუ ამხანაგებს მიაცილებდა.

ხელდახელ გავუზიარე ჩემი წინადადება და ისიც ჩქარა დამყვა ნებას.

გამოემშვიდობა თავის ამხანაგებს და წამოვედით.

საქმეს აქედანვე უნდა დაწყება.

ჩემთვის ცხადია, რომ ვერავითარ მტკიცე ხელისუფლებას ვერ შევქმნით — თუნდაც ერთის დღით. აქ მხოლოდ უნდა შეიქმნას რაიმე წარმოდგენა ხელსიუფლებაზე, რომ ხვალ დილით ხალხმა ქალაქი უპატრონოთ არ წარმოიდგინოს — სანამ ბოლშევიკები შემოვიდოდენ.

ისევ წუთები, წუთები!

ძვირფასი წუთები არ უნდა დაიკარგონ უანგარიშოთ.

მაშ ფეხდა უეხ დაარსებულია „წესრიგის დამცველი კომიტეტი“.

პირველყოვლისა საჭიროა სამოძრაო ხაშუალება, რეკვიზიცია!

აი საუკეთესო გზა, რომელიც ვისწავლეთ ომისა და რევოლუციის ხანაში — გაჭირვებიდან თავის დასაღწევათ.

ჩვენც ვათვალიერებთ სარეკვიზიტო...

ავტომობილებს, რასაკვირველია.

(მოქმედება და სიტყვა უნდა დაიხარჯოს მარჯვეთ, გადაწყვეტილად, ავტორიტეტიანათ. ამ დაბნევისა და ანარქიის ხანაში მხოლოდ ასე დახარჯულ სიტყვას და საქმეს ეჭნება მნიშვნელობა).

იქავე შემხვდა ღენ. მაზნიაშვილი.

გეკითხებით — როგორ შეიძლება ქალაქის ასე ღვთისანაბარათ მიტოვება?

აქ მაზნიაშვილმაც იმდენივე იცის, რამდენიც ჩვენ.

მაგრამ ამის გამორკვევაზე აღარ შეიძლება წუთების კარგვა.

გამოვედით კარში.

უკვე ჯარის ნაწილები ბლომათ მოსჩანან სადგურის ირგვლივ. რიგი მიდის მცხეთის მიმართულებით, რიგი ალაგობრივ გაჩერებულა და ეტყობა, თვითონაც არ იციან — თუ რას ელიან.

აგერ დავინახეთ ერთი რიგიანი ავტო.

მივედით და ვუცხადებთ შოთერს, რომ ეს მაშინა რეკვიზიტია ქმნილია „წესრიგის დამცველ კომიტეტის მიერ“.

ამ დროს მოდის თვითან მაზნიაშვილიც.

(მაშინ იგი სრულებით აღარ ჰგავდა მებრძოლ ჯარის სარდალს, რომელსაც უბრალოთ ვერავინ შეჰქალრება თუნდა პირდაპირ შეხედვას, არამც თუ მაშინის ჩამორთმევას).

ის აღარ გამოსდგომია იმის გამორკევების, თუ როდის, დაარსდა ეს კომიტეტი და ან რა ძალა აქვს მას.

მაზნიაშვილმა თითქოს კანონათ იცნო ჩვენი მოთხოვ ნილება და ამიტომ თითქმის იხვეწებოდა:

— მაშინა რომ გამომართვათ, მე იძულებული ვიქნები — აქ დავრჩე: ორი-სამი დღე ღამის ტეხვითა და უბე-დურობით ისე ვარ დაქანცული, რომ ფეხით სიარულის ავი მე აღარა მაქვს, და თუ აქ ჩავრჩი, შეიძლება ბოლშე-ვიკებმა დამხვრიტონ კიდეც — როგორც მათ წინააღმდეგ შებრძოლი ღენერალი.

ამ დანადებაზე ისეთი უმწეო და შესაბრალისი შეხე-დულება ჰქონდა ამ სახელმოხვეჭილ ღენერალს, რომ იგი მართლა შევიბრალეთ და მაშინაც დავუტოვეთ.

მაშ რა ვქნათ?

სხვა მაშინა აღარსაღა სჩანს.

რა მოვაწყოთ? სად წავიდეთ? როგორ წავიდეთ ეს ორი ცარიელ-ტარიელი კაცი?

ვდგევართ ასე და ვფიქრობთ — საიდან გამოვნახოთ შველა?

სწორეთ ამ დროს სადგურთან მოქროდა მშვენიერი შავი ცხენებით ერთი საუკეთესო ეტლი.

ვიცანით. ეს არის ნიკო ელიავას ეტლი.

აგერ თვითან ნიკოც გადმოხტა ეტლიდან და საჩქაროდ წავიდა სადგურისაკენ.

(მაშ თბილისის თავიც ასე სტოვებს უთაოდ ქალაქს?).

ამ ეტლის მოსვლა ჩვენთვის იყო ნამდვილი მისწრება.

და მივასწარით კიდეც.

— ეს ეტლი ამ წუთიდან რეკვიზიცია ქმნილია წესრი-გის დამცველ კომიტეტის მიერ!



რუსი მეეტლე მაშინათვე განიმსჭვალა კანონიერებისმართი
მოვალეობით. ეგებ კიდევაც შეეშინდა ამ ახალ სახელშო-
დების კომიტეტისა. ეგებ ჩვენ უკვე წარმოგვიღვინა ნამ-
დვილ ბოლშევიკების ხელისუფლებათ — არ ვიცი. მხო-
ლოდ უყოყმანოთ კი დაემორჩილა ჩვენს ბრძანებას. და
ზოგჯერ რა სადათ ხდება ყველაფერი ამ ცხოვრებაში!
ჯერ გადმოსვა ერთი ხელისუფლება და გაისტუმრა ქალა-
ქიდან, შემდეგ იმავე წუთს ჩასვა მეორე ხელისუფლება და
მიაქანებს ქალაქისაკენ.

გზაში ვმსჯელობთ.

ასეთ მომენტში ფიქრები არაფრით არ განირჩევიან
ელვისაგან, მეტეორსაგან, ქარიშხალისაგან.

გადავწყვიტეთ: ორი კაცი არა კმარა ასეთი დიდი საქ-
მის მოსაგვარებლად.

მაშ ვინ მოვნახოთ?

აქ მოგვაგონდა გალაქტიონ ვაშაძე. პაოლომ იცოდა
მისი ბინა.

მივდივართ პირდაპირ მასთან. გზაში უკვე განუწყვეტ-
ლივ გვიხდება გვერდის ახვევა ჯარებისთვის, არტილე-
რიისთვის, ტვირთმზიდავებისთვის.

გზაში მრავლათა ყრია თავმინებებული თოთები.

„სახელგანთქმული“ გვარდიელებიც გვხვდებიან ხში-
რათ, ბევრ მათგანს თოთი აღარ უჭირავს ხელში. სამა-
გიეროთ ზოგიერთ მათგანს საეჭვო ბარგიც ჰკიდიათ
ზურგზე.

ახალ საქმეზე მზრუნველობით გატაცებულნი ჩვენ ვე-
ლარ ვამჩნევთ ბევრ რამეს, რაც აღამიანის და ცხოვრების
დაკლაკნულ გზაზე ათასნაირ ტკივილსა და ნამსხვრევებსა
სტოვებს.

აგერ მივადეჭით გალაქტიონ ვაშაძის კარებს.

ვაკაკუნებთ, ვაბრახუნებთ, ვყვირით — ხმს არავინ
იღებს.

პირდაპირ ერთ სახელდახელო ბრძოლას უდრიდა, სა-
ნამ გალაქტიონამდის მივაღწევდით.

მან თურმე არაფერი იცოდა მენშევიკების წასვლაზე
და ისევ დიდის სიფრთხილით განაგრძობდა მალვას.

ორ-სამ წუთში ავუხსენით ყველაფერი და ხელდახელ
გავამზადეთ ჩვენთან ერთათ სამოქმედოთ.

15.2 | 2 პირველყოვლისა იქავე გადავსწყვიტეთ: ბოლშევიკურ
რაზმებთან გაიგზავნოს დელეგაცია და ეთხოვოს, დააშუ-
რონ ქალაქში შემოსვლა, რომ თავიდან აცილებული იყოს
ყოველივე წესრიგის დარღვევა და თავგასულობა შეუგნე-
ბელი ელემენტებისა.

აქ არ გვავიწყდება ზოგიერთი აუცილებელი წვრილ-
მანი:

გალაქტიონის ლოგინზე გადაფარებული ჩარსავი გვ-
ნიეთ შუაზე, საგველ ჩოთქსაც წავაძერით ტარი და ამ გვა-
რად „სამშვიდობო დროშა“ მზათ იქნება ხელში — საჭი-
როებისამებრ.

აღარ ვაგვიანებთ.

ვსხდებით ეტლში და მივემგზავრებით ცენტრისაკენ.

ინსტიქტი ეგრე მიგვეზიდება ქალაქის გულისაკენ.

ისევ ცივა. თოვს და წვიმს სანახევროთ, უგემურად,
ზედ ერთვის რაღაც დანავსული ქარი.

ეს ბუნება სრულებით არ არის ხელშემწყობი რამე
გამბედავი, ლამაზი და კეთილშობილი მოქმედებისთვის.

მაგრამ არაიან მომენტები, როცა უნდა გვერდი აუხვიო ბუნების ხელმოცარს და საკუთარ თავში ჰპოვა
მთელი. ძალლონე, რასაც მოითხოვს გათენებამდის — უპატრონოთ მიტოვებული დედა-ქალაქი.

ქალაქის სიგრძეზე პირდაპირათ მომავალი ქუჩები სავსეა ჯარებით და გვარდიელებით.

აქა-იქა მოსჩანან ჩვეულებრივი მოქალაქენიც.

ყველა მიღის ერთი მიმართულებით: ზევით.

მხოლოდ და მხოლოდ ჩვენა ვართ, ვინც მიღის წინააღმდეგ — თვით ქალაქის შუაგულისაკენ.

გავუხვიეთ სხვა პარალელურ ქუჩაზე, რომ უფრო თავისუფლად ვიმოძრაოთ.

ჩქარა გავჩნდით თავისუფლების მოედანზე.

ერთის წუთით ვეკითხებით ჩვენს თავს!

რა გავაკეთოთ? როგორ მოვიქცეთ?

აქ ან ელვის სისწრაფით უნდა მოიფიქრო ყველაფერი ან სავსებით დაკყარო იარაღი.

აქ არ შეიძლება იმაზე მეტი წუთები დაიხარჯოს, რაც აფეთქების, ხანძრის ან მიწის ძვრის დროს.

პირველ ყოვლისა საჭიროა კავშირის დამყარება ქალაქის სხვადასხვა ნაწილებთან.

მთელ ჩვენ ქონებასა და საშუალებას წარმოადგენს მხოლოდ ეს ერთი ეტლი — ნიკო ელიავასაგან დანატოვარი.

აუცილებელია ტელეფონი!

ავდივართ იქავე ცენტრო-ბანკში.

თან მოგვდევს რამდენიმე მარჯვე ყმაწვილი, რომლებიც თავის ნებით შემოგვიერთდენ ჩვენთან ერთად სამუშაოთ.

ვაკაკუნეთ, ვაბრახუნეთ და ბოლოს მე მგონი შევამ-
ტვრიეთ კარი, რადგან დარაჯი არ აღებდა.

ველაპარაკები ტელეფონით — ხმას არავინ იღებს.

უნაყოფო გამოდგა ამდენი წვალება და კარების
მტვრევა.

ჩამოვდივართ ისევ ძირს.

დაუყონებლივ უნდა აღდგენილ იქნას სატელეფონო
კავშირი.

ჩვენთან შემოერთებულ ჩასპანტ ყმაწვილებს ვავა-
ლებთ: საჩქაროთ წავიდენ ტელეფონის ცენტრ. საღურზე,
გამოუძახონ დირექტორს და დაუყოვნებლივ აღადგინონ
სადგურის მუშაობა. წინააღმდეგ შემოხვევაში, უთხარით,
იგი სასტიკათ იქნება პასუხისმგებელი ახალი ხელისუფლე-
ბის წინაშე.

ყმაწვილებმა მაშინათვე მოჰკურცხლეს ქურციკები-
ვით. ჩვენ კი... უეჭველად გვჭირდება ერთი მაშინა მაინც,
რომ გავგზავნოთ დელეგაცია ბოლშევიკებთან ნავთ-
ლულში თუ საღანლულში.

სად ვიშოვოთ ეს მაშინა?

ვეძებო.

განვის ქუჩაზე ვხედავთ ერთ მაშინას. მივეშურებით.

გამოდგა ნოე რამიშვილის მაშინა. მაგრამ გაფუჭებუ-
ლია. შოთერები ეწვალებიან შესაკეთებლად.

ჩვენ ამას ვერ დავუწყებთ ლოდინს.

შოთერები გვეუბნებიან, რომ მათ დავალება ჰქონდათ
მცხეობაში დასწეოდენ რამიშვილს და გზათ კი უნდა აეფე-
ოქებინათ თეთრი ხილი (ე. ი. ხილი თეთრ დუქანთან).

ჩვენ ამ შოთერებს დარაჯათ ვერ დავუდეგებით. მაშ
უნდა ვიმოქმედოთ მათ შეგნებაზე და ვარწმუნებთ: ვინი-

ცობაა შეაკეთონ მაშინა და წავიდენ, არას გზით არ ააფე-
თქონ ხილი, რადგან ამითი ბოლშევიკების წინსვლას ვერ
შეაჩერებენ და ქვეყანას კი დააკლებენ ერთ კაი ხილს.

ჩამოვართვით მუშური, რევოლიუციონური სიტყვა და
წავედით.

ამ პირობებში ძებნაზე არ უნდა დავკარგოთ დრო. იქ
უნდა მივიდეთ, სადაც უაჭველად გვეგულება ავტომობი-
ლი. ესენი არიან უცხოეთის საელჩოები.

უცხოეთის საელჩოებიდან კიდევ იქ იქნებიან დარჩენი-
ლი ისინი, ვისაც კარგი პოლიტიკური განწყობილება აქვს
ბოლშევიკებთან.

ესენი არიან სპარსეთის; ოსმალეთის და გერმანიის წარ-
შომადგენელნი.

ყველაზე აღვილათ გვეჩვენება ყველაზე სუსტის გამო-
ყენება.

მივდვართ სპარსეთის საკონსულოში. არც თვითან კონ-
სული აღმოჩნდა თბილისში და არც მისი მაშინა იყო გა-
მოსაყენებელი.

ოსმალეთის საელჩოში ორგორც მახსოვს, ძალიან დი-
პლომატიურათ აგვიცილეს თავიდან:

— ჯერ სხვაგან შეეცადეთ და თუ ვერსად იშოვით,
მხოლოდ ასეთ უკიდურეს შემთხვევაში ეგები მოხერხდეს
რამეთ.

გერმანიის საელჩოში უფრო მეტხანს მოგვიხდა დიპ-
ლომატიური მოლაპარაკების გაგრძელება.

ერთის მხრივ მე ვარწმუნებდი პატივცემულ ელჩს ომ
აუცილებელია მაშინის დათმობა. მეორე მხრივ ის მარწმუ-
ნებდა, რომ აუცილებლად საჭიროა თვით მისოვს ერთათ
ერთი ვარგისი მაშინა.

რომ ამას არ გამოეწვია რაიმე პოლიტიკური უსიამოვნება, ბოლოს იძულებული ვიყავით, თავი მიგვენებებინა აშათთვისაც და არავითარი ძალადობა არ გამოგვიჩენია.

დავბრუნდით ისევ აღმასკომთან.

თითქმის თენდება.

აქ უკვე დაგვხვდენ ტელეფონზე გაგზავნილი ყმაწვილები.

ცნობა სამწუხაროა:

ტელეფონის ცენტრალური სადგური მოშლილა და მისი აღდგენა უკველად მოითხოვს ერთ-ორ დღესო.

მაშ სხვა საშუალებით უნდა წავიდეთ იოლად,

გადავსწყვიტეთ ასე.

პაოლო და გალაქტიონი წავლენ ბოლშევიკებთან და სთხოვენ, დააშურონ შემოსვლა ქალაქში. მე კი დავრჩები აქ და მოვაწყობ წესრიგის დაცვას — როგორც კი მოვახერხებ.

გალაქტიონი და პაოლო თავიანთი „თეთრი დროშით“ ჩასხდენ ეტლში და წავიდენ ნავთლულისკენ.

მე დავრჩი აღმასკომის წინ. ჩემთან არის ხუთი ექვსი ყმაწვილი, რომელთა სიყოჩაღეშიც დავრწმუნდი სახელდახელო დავალებათა მოსწრებულად შესრულებით.

პაოლოს და გალაქტიონს დავალება ჰქონდათ, მეტებში გაევლოთ, გამოეშვათ ყველა პოლიტიკური პატიმრები და გამოეგზავნათ აღმასკომში სხვა და სხვა საქმეზე გამოსაყენებლად.

ჯარები ისევ მოდიან და მოღიან.

დაღლილები, დასველებულნი, დაბნეულები ძლივას
 მისდევენ ერთმანეთის რიგებს. მხრებ-დაწყვეტილები, გულ-
 დაწყვეტილები ზედმეტი ბარგით მიათრევენ თოფს და თა-
 ვიანთ თავსაც. ზოგი მათგანი ჩამორჩება, გადააგდებს
 თოფს და იკარგება სრულ უპასუხისმგებლობაში.

აგერ ვიღაცას მოუდის მთელი ჯოგი საუკეთესო ჯი-
 შიანი ძროხებისა.

ალოოთი შევატყვე — ნაქურდალი უნდა იყოს.

პირველივე შეკითხვაზე დაიბნა „მეჯოგე“.

იგი საჩქაროთ გავანთავისუფლეთ „მეჯოგეობიდან“ და
 ძროხები კი შევამწყვდიეთ პუშკინის ქუჩაზე ერთ ეზოში.
 ჩავაბარეთ ორ მეტოვეს სასტიკი პასუხისმგებლობით.
 სულ იყო თვრამეტი ძროხა.

ეს კარგი ულუფა იქნება ხვალ დამშეული ქალაქისა-
 თვის.

საჭიროა გარკვეული ადგილი; ცენტრი, საიდანაც უნ-
 და იშლებოდეს მოქმედების მთელი გეგმა.

ჩქარა გაიღვიძებს ქალაქი, და ანდერძაგებულ ხელის-
 უფლების სანაცვლოთ თუ არ დახვდა სხვა რაიმე ხელის-
 უფლება, მაშინ ვინ აგებს პასუხს ყველაფერ შესაძლებელ
 უწესობაზე?

რამე რომ მოხდეს, ცხადია, მენშევიკები ყველაფერს
 ბოლშევიკებს დააბრალებენ. მაგრამ ვისაც უნდა დააბრა-
 ლონ — ამითი განა ეშველება რამე დაზარალებულ ხალხს?

აგერ შემეხეჩა ამხანაგი აფიცერი, რომელმაც გადმოუ-
 ხვია მცხეოს გზიდან და მზათ არის, ყოველივე დავალება
 შეასრულოს თავის რამდენიმე ამხანაგებთან ერთად.

ფიქრებში მაშინათვე დავსგვნი.

ჟველა ესენი გამოდგებიან მფრინავი მიღიცის პარტავებით.

მაშ ისინიც არ უნდა გავუშვა ხელიდან.,

აგერ კუთხეზე შეჩერებულა დარბეულ ფრონტიდან მომავალი აფიცერი და მისჩერებია წელმოწყვეტით მიმავალ ჯარისკაცებს.

მისი შეხედულობა სიბრალულს იწვევს ჩემში (და რაღაა ის მებრძოლი, რომელც მხოლოდ სიბრალულს იწვევს აღაშიანში?).

მინდა, უბრალო ხმის გაცემით მაინც ვანუგეშო:

- ამხანავო, ბევრია კიდევ უკან დარჩენილი ჯარები?
- ჯერ რამდენიმე ათასი კიდევ იქნება.
- მერე სად მიდიხართ?
- ბრძანება გვაქვს — მცხეთაში გავმაგრდეთ.
- მერე? შესძლებთ კი გამაგრებას?
- რა ვიცი!

მართლაც რა უნდა იცოდეს უბრალო აფიცერმა, როცა თვით მთავრობის მეთაურებმაც არ იციან, რომ თბილისის დაკარგვასთან ერთათ მათთვის დაკარგულია მთელი საქართველოც!

მათ დიპლომატიურ და პოლიტიკურ ჭიუამოკლეობას ასე ემატება ზედ სტრატეგიული ჭიუამოკლეობაც.

ძალით შევალეთ აღმასკომის კარი, რაღგან ნებით გამლები იქ აღარავინ იყო.

ქალაქის თავის კაბინეტი მუშაობის პროცესში იყო შიტოვებული:

მაგიდაზე ალაგია დაუმოაგრებელი ქალალდები, ბეჭედი. უჯრებიც ღიაა.

ეტყობა, მოულოდნელად და სასწრაფოთ მოხდა აქედან გასვლა.

ეს მხოლოდ უნებლიერ და სახელდახელო შთაბეჭდილებაა, თორემ ამის გამოსაკვლევად ეხლა ვიღასა სცალია.

საქმე ეხლა იწყება — გათენებასთან ერთად.

საიდანლაც დაბარებულივით გაჩნდა მესტამბე კილაძე, რომლის სტამბაც იქვე იყო — აღმასკომის გვერდით.

უკვე საკმაოთ მოგროვდა იქ ნაცნობი და სანდობი პირები. ყველას გამოყენება შეიძლება თამამად.

„წესრიგის დამცველ კომიტეტი“ ყველას უკვე წარმოდგენილი აქვს ძლევამოსილ ორგანოთ და ეშურებიან იქ თანამშრომლობას.

ასეთი პიპნოზი უეჭველად სასარგებლოა საქმისათვის.

ასეთი პიპნოზი საჭიროა შეიქმნას თვით მოქალაქეებში, როცა ქუჩაში გამოვლენ, რომ თავში აღარ გაივლონ რაიმე უწესრიგობის ჩადენა და გრძნობდენ პასუხის მგებლობას — კანონის წინაშე.

ასეთ პიპნოზს გადამწყვეტი მნშვნელობა აქვს როცა შენს განკარგულებაში მხოლოდ წუთები და საათებია.

იმ პიპნოზს კი აძლიერებს ზოგჯერ უბრალო რამე მოვლენა ან გარეგნული ნიშანი.

„წესრიგის დამცველ კომიტეტსაც“ სჭირდება რამე ნიშანი, რომ ხალხი ყოველ ნაბიჯზე გრძნობდეს მის არსებობას.

მარჯვე ბიჭები უნდა დაფაცურდენ. კომიტეტის მანდატით აღჭურვილები ისინი რიგ-რიგით დაიფანტენ სხვა და სხვა მოვალეობის შესასრულებლად.

დაუყოვნებლივ გავაღებინეთ ცინდელის მაღაზია. გა-
მოიტანეს იქიდან წითელი სატინა. დასჭრეს ზომაზე და
კილაძის სტამბამ მიაბეჭდა ზედ:

„წესრიგის დამცველი კომიტეტი“.

სანდობ ამხანაგებს ამ ლენტს ვაბამდით მაჯაზე, ვაძლე-
ვდი „კომიტეტის“ მანდატს და ვნიშნავდი მფრინავი მილი-
ციის ათისთავად. მას თავისი პასუხისმგებლობით უნდა
ეშვეა სხვა ამხანაგები და, ევლო მიჩნეულ რაიონში — წეს-
რიგის დასაცავად.

უკვე რამდენიმე ათეული დაიგზავნა ასეთი ამხანაგი
სხვა და სხვა რაიონში.

აგერ შახიანი ვაჟკაცი წამომადგა თავზე.

ეს არის ალ. ბერიძე — ცეცხლის მქრობელი რაზმის
უფროსი.

მან რაინდულად შემოსთავაზა თავისი სამსახური „წეს-
რიგის დამცველ კომიტეტს“.

სამოცდახუთმეტი საუკეთესო გაწვრთნილი რაზმელი
ჰყავს. ოცდახუთი რჩება თავის ადგილას — ყოველ სახან-
ძრო შემთხვევისათვის, ორმოცდაათი კი დანაწილებულ იქ-
ნა ყველაზე მნიშვნელოვან ადგილების მცველებად. ესენი
არიან: დამფუძნებელი კრება, ბანკები, სამინისტროები, ხა-
ზინა და ექსპედიცია (ფულების საბეჭდი).

ყოველგვარი გაუგებრობისა, დაუდევრობისა და ბო-
როტ მოქმედების თავიდან ასაცლენათ პირადათ მე თვი-
თონ დავაბეჭდინე ექსპედიციის შენობა და სასახლის საწ-
ყობები, სადაც ინახებოდა ფრონტზე ვასაგზაფნი ბეჭრი სა-
ჭირო ნივთები და სურსათ-სანოვაგე.

რამდენიმე საათში აღმასკომი უკვე გადაიქცა ქალაქის
ნამდვილ ცენტრათ.

მოდის აუარებელი ხალხი, მათ შორის ბევრია ნაცნობი, რომელთაც თამამათ დაეკისრებათ რაიმე მოვალეობა ამ მოუწესრიგებლობისა და „უკაცობის“ ხანაში.

ტრამვაი არ მუშაობს, არც ტელეფონი. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მუშაობს რაღაც უცნაური რაღით და ყოველივე მოვლენა ელვის სისწრაფით ვრცელდება ხალხში.

მე გაოცებას ვარ: საიდან გაიგეს ასე ყუმბარის გავარდნასავით, რომ აღმასკომში არის რაღაცა ხელისუფლების მსგავსი და ყველა მოეშურება აქეთ?

ალბათ ასეთ მომენტებში მოქალაქეების ალლო ისე მკვეთრად არის დამახვილებული, რომ შეუცდომელათ საზღვრავს, სად უნდა სცემდეს ამ დროს ცხოვრებისა და მოვლენის მაჯა.

შეუჩერებლივ იწერება სხვადასხვა ხასიათის მანდატები.

ხელს აწერს „წესრიგის დამცველი კომიტეტის“ თავმჯდომარე.

ბეჭედი?

ბეჭედი იგივეა, რომლითაც ბენია ჩხიცემვილი გზავნიდა თავის განკარგულებებს გუშინ და გუშინწინ.

ეს არის — გუშინ საღამოს უპატრონოთ მიტოვებული თეთრი გიორგი.

ერთ-ორ საათს კიდევა სჭრის იმისი ძალა, სანამ ხუთკაბა წითელი ვარსკვლავი ამოვიდოდეს საქართველოს ცხოვრების ცაზე.

ჩემი საზრუნავი მხოლოდ ის იყო — არ დაირღვეს მოქალაქეთა მყუდროება, არ გაიფლანგოს სახელმწიფო და საზოგადო ქონება.

ამ მოსაზრებით კეთდება ყველაფერი:

იგზავნებიან მურინავი რაზმები ყველა რაიონებში.

ვაწყობთ დაცვას ბანკებისას, სამინისტროებისას, ხაზი-
ნისას, დამფუძნებელი კრებისას, ზოგიერთი საწყობებისას.

იქნება დილის 9 ან 10 საათი.

უკან ბრუნდებიან გალაქტიონი და პაოლო.

— როგორ არის საქმე?

— ვნახეთ ბოლშევიკური არმიის მეთაურები. გადა-
ვეცით ჩვენი თხოვნა. აუწერეთ ქალაქის მდგომარეობაც.
ისინი მაინც სამხედრო წინდახედულობის გამო არ შემო-
დიან პირდაპირ, არამედ უნდათ ქალაქს შემოუარონ
ირგვლივ. ამ გვაჩად რამდენიმე სასთით კიდევ დააგვიან-
დებათ შემოსვლა.

ჩვენ გადავწყვიტეთ: ისევ წავიდენ უკან და ახლად
სთხოვონ ბოლშევიკური არმიის მეთაურებს, ცალკე რაზ-
მები მაინც შემოგზავნონ ქალაქის მთავარ ქუჩებზე გასა-
ვლელად, რომ ხალხმა დაინახოს ახალი ხელისუფლების
ძალა და არსებობა.

ამას დაჟინებით გვიკარნახებდა არსებულ მდგომარეო-
ბიდან გამომდინარე სიფრთხილე:

ჰავლაბარში, პლეხანოვის პროსპექტზე და შუაბაზარ-
ში რამდენიმე ადგილას დაერბიათ დუქნები. ერთი ორის
გარდა — ეს გვარდიელების ჩადენილი იყო უკან დახევი-
სას. მაგრამ ვინ არის თავდები, რომ ერთი ორი დარბეული
დუქნის დანახვა არ გამოიწვევს მთელი ქალაქის დარბე-
ვასაც?

გალაქტიონი და პაოლო ისევ მიდიან.

აღმასკომის შენობა საესეა ხალხით.

თავისუფლების მოედანიც ლამის იქსება ხალხით.

აგერ თავზე დამადგა შუახნის ზორბა კაცი. მეტათ დინჯი, დარბაისლური შეხედულება და ნამდვილი მუშური იერი მაშინათვე ერთგვარ ნდობას იწვევდა აღამიანში.

— გახლავართ სანდრო ფარნიევი! გამომიყენეთ რაიმე სამსახურში, თუ კი გჭირდებით!

სანდრო ფარნიევს ვიცნობთ როგორც ერთ საუკეთესო შეგნებულ მუშას. ის რომ არ გაქცეულა თავის ამხანაგებთან ერთად და ეხლა დაუყოვნებლივ თხოულობს თანამშრომლობას ახალ ხელისუფლებასთან — ეს უკვე ნათელ წარმოდგენას იძლევა მის პოლიტიკურ მსოფლ-მხედველობის შეტრიალებაზე.

— ეხლა ყველა საჭიროა! რა სამსახური შეგიძლია გასწიო სანდრო?

— მე მაქვს ორმოცი ავტომობილი — ყველა სამუშაოთ გამზადებული. ეს არის გვარდიის შტაბის მაშინები. უკან დახევისას არ გავატანე. ეხლა გამოიყენეთ. თუ კი გჭირდებათ.

ტელეუონი არ მუშაობს, ტრამვაი დაუქმებულია. არც ერთი მაშინა არ მოგვეპოვება და მოულოდნელად ორმოცი მაშინა!

ჩვენ პირობებში ამაზე უკეთესი საჩუქარი რაღა იქნება!

და სანდროც თავისი მაშინებით შეიჭრა ქალაქის ახლათ მოსაგვარებელ ცხოვრებაში.

როდის გავიდა უკანასკნელი ჯარის კაცი — არ შემიჩნევია.

მაგრამ რომ იგვიანებს „პირველი ჯარისკაცი“ — ეს კი შესამჩნევია.

მრავალნაირ განკარგულებებისა და მანდატების გაცემა
მაში ფიქრი მაინც მუშაობს ერთის მიმართულებით:

დღევანდელ დღესთან ერთათ როგორმე უზრუნველყოფილ იქნას ხვალინდელი დღეც.

და რის შესახებაც ეხლა ვერ ვიჭერთ თაღარიგს, წინასწარ მაინც განვსაზღროთ, თუ ახალმა ხელისუფლებამ პირველ ყოვლისა რას უნდა მიაქციოს ყურადღება.

ჯერ ერთი სასწრაფოთ უნდა იქნას ხელში აღებული სახელმწიფო საწყობები ფქვილის და სურსათ-სანოვაგისა. შემდეგ საჭიროა, ავჭალის წყალსადენის აღდგენა-დაცვა, რომ ქალაქი ხვალვე უზრუნველყოფილ იქნას პურით და წყლით.

ქალაქის სხვა და სხვა უბენებისთვის დანიშნული ზოგიერთი კომისრები და მფრინავი მილიციის ათის თავები შეტად წესიერი გამოდგენ და მოაქვთ ცნობანი ქალაქში არსებულ მდგომარეობის შესახებ.

მოედანი უკვე გაჭიდილა მოქალაქეებით.

ხალხს სჭირდება ცოცხალი და მანუგეშებელი სიტყვა.

ხალხს სჭირდება დამამშვიდებელი სიტყვა ამდენი საშიშროების შემდეგ, რაც ესმოდათ მათ ბოლშევიკების შესახებ — გაბოროტებულ მოწინააღმდეგებთაგან.

ხალხს სჭირდება გაიგოს სიტყვა და ამითი დარწმუნდეს, რომ ქალაქი არ არის უპატრონოთ მიტოვებული.

საამისოთ მზათ არს სანდროს ავტოები და სიტყვის მჭრელი ხალხი.

„წესრიგის დამცველ კომიტეტის“ ეს მოძრავი მოციქულები საჩქაროთ გაიჭრენ ქალაქის მთავარ უბნებში და აგონებდენ ხალხს დამამშვიდებელ სიტყვას.

დილის ცხრა საათი იქნებოდა.

ჩვენ საკრებულო დარბაზში შემოდის ერთი ყმაწვილი და მედიდურათ მოგვმართავს — თუ ვინ ვართ ჩვენ? ვეკითხები ვინაობას.

— მე ვარ თბილისის ბოლშევიკურ კომიტეტის ჭარ-მომადგენელიო.

მოვთხოვე მანდატი. არ აღმოაჩნდა.

— მაში მოითმინე ამხანაგო! დაუცადე შენზე უფროს ამხანაგების მოსვლას და მანამდის კი ხელს ნუ შეგვიშ-ლით ჩვენს მუშაობაში!

ჩქარა გამოჩნდა ამხ. ს. თოდრიაც.

მას თან მოჰყვენ ოკუჯავა, ტოროშელიძე, ერქომაი-შვილი და სხვა ამხანაგები, რომელთაგანაც იქნა შემდგა-რი პირველი რევოლი თბილისისა.

აქ არიან გალაქტიონი და პაოლოც.

მოიტანეს ამბავი, რომ წითელი არმია ჩქარა გაჩნდება ქალაქშით.

ჯერჯერობით უველა მუშაობს ისევ საკუთარ შეგნე-ბისა და სინდისის კარნახით. ხელმძღვანელი ორგანო მხო-ლოდ ეხლა ჩნდება ფონზე, თუმცა რამდენიმე საათში შეიძლება გადაიქცეს იგი ნამდვილ უფლებამოსილ ხელი-სუფლებათ.

მაინც ვგრძნობ, რომ „წესრიგის დამცველმა კომიტე-ტმა“ უკვე შეასრულა თავისი ისტორიული მისია და ეხ-ლავე ადგილი უნდა დაუთმოს ნამდვილ ბოლშევიკურ ხე-ლისუფლების ჭარმომადგენლებს.

ისინი უკვე აქ არიან და აღმასკომის მეორე ათასში მსჯელობენ.

მათ საჩქაროთ გავაცანით ქალაქის მდგომარეობა. გავი-
ცანით „წესრიგის დამცველ კომიტეტის“ თაოსნობა ამ
გარდამავალ ხანაში და ამ საათიდან კიდევაც ავიზადეთ
ჩვენი ნებით ჩვენ თავზე აღებული პასუხისმგებლობა —
შვეულის წინაშე.

ამხ. თოდრიამ გვთხოვა — ჯერჯერობით ისევ გვემუ-
შავა პარალელურად — რევკომთან ერთად.

ჩვენც განვაგრძეთ, რაღვან ისინი სულ ახალი ხალხი
არიან და ჩვენ კი უკვე გვაქვს 10-12 საათის „სტაუი“ —
მძართველობაში.

ვეხმარებით — როგორც კი შეგვიძლია.

ვურჩევთ — თუ რა უნდა გაკეთდეს პირველ ყოვლისა
აუცლებლად.

საამისო წინასწარი გეგმები უკვე დამუშავებულ იყო
მთელი ლამისა და ამ დილის ალიაქოთში:

ტელეფონის ცენტრ. სადგურის აღდგენა.

ფეხილის და სურსათ-სანოვაგის საწყობებზე მიპატ-
რონება.

ავჭალის წყალსადენის დაცვა.

ცეცხლის მქრობელ რაზმის მზათ ყოფნა ყოველ უბე-
დურ შემთხვევისათვის და სხვა.

შუადღის ორი საათი იქნება.

მოედანზე შეტბორებულ ხალხის ზღვა ერთბაშათ
შუაზე გაიპო და ამ ნაპობში მძიმე ხვნეშით შემოზანზარ-
და უოლადის მდევი —

ბოლშევიკების პირველი ტანკი!

მას თან მოჰყვა ცხენოსანთა პირველი რაზმიც.

წინ ეგებებიან ბოლეშვიკურ ხელისუფლების პირვე-
ლი ენტუზიასტები და უმართავენ საზეიმო შეზედრას.

მებრძოლი სიტყვები ყუმბარებივით სცვივიან ტანკის ზურგიდან, აღმასკომის აივნიდან, მოსწრებულ ფანჯრიდან ან მაღლა ადგილიდან.

მემგონი სიტყვას მხოლოდ ასეთ მომენტებში აქვს საჭმეზედ მეტი ძალა, რადგან ამ წუთას მხოლოდ სიტყვაა ყველაფერი.

და ხალხიც ამ წუთს მხოლოდ სიტყვას ელის და სიტყვაში იძენს რწმენას — ხავლინდელი დღისას.

წუხანდელი თვრამეტი ძროხა უკლებლივ დაგვიხვდა შენახული.

სასურსათო კომისარისთვის ეს მოულოდნელი ძღვენია ამ უშოვნელობაში.

ქალაქის დიდ ქუჩებში დარახრახებენ ტანკები, ჯგუფ-ჯგუფათ დადიან ცხენოსანთა რაზმები, ყოველ მოსწრებულ ადგილას გაისმის ახალი ბრძოლის და ახალი ცხოვრების მეღვარი სიტყვა.

ამ საათიდან მტკიცდება ხალხის მცნებაში ბოლშევიკური ხელისუფლება.

„წესრიგის დამცველი კომიტეტი“ უკვე მეტია.

ის არ ყოფილა ფინალი მენშევიკური ხელისუფლების, მთვრამ ის იყო შესავალი ბოლშევიკური ხელისუფლების.

მათ ხელისუფლების დამყარების საათიდან „წესრიგის დამცველმა კომიტეტმა“ დამთავრებულად მიიჩნია თავისი წუთიერი მოვალეობა საქართველოს ათასწლოვან ისტორიაში.

იგი დაუყოვნებლივ ჩამოდგა განზე და გზა დაუფარმო საქართველოს ცხოვრების მამოძრავებელ მუდმივ ძალებს.

ବ୍ୟାକ୍ ପରିଚ୍ୟା
ଶାନ୍ତିମାନ

